სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/77

ქ. თბილისი 24 ივნისი 2021 წ.

საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირებული სახით
დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“, სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 26 თებერვლის 01-05-04/29 დადგენილების, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანის მოხსენებითი ბარათის, ფაკულტეტის 2021 წლის 22 ივნისის საბჭოს სხდომის № 7 ოქმის და აკადემიური საბჭოს 2021 წლის 24 ივნისის №01-05-02/13 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 26 თებერვლის 01-05-04/29 დადგენილების შესაბამისად მოდიფიცირებული სახით დამტკიცდეს მაგისტრატურის შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამები:
   ა) ბიოსამედიცინო ინჟინერია (ინგლისურენოვანი);
   ბ) ინფორმატიკა;
   გ) საინჟინრო ფიზიკა;
   დ) მათემატიკა;
   ე) ბიოსამედიცინო ინჟინერია და სამედიცინო ინფორმატიკა;
   ვ) მართვის სისტემები, ავტომატიზაცია და ტესტ-ინჟინერინგი.
2. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**